საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-749

07/09/2018

ქ. თბილისი

შპს „ალტერ ენერჯის“ შუახევის მუნიციპალიტეტში, მდ. მოდულისწყალზე 4,72 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (გოგინაური ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.8 ქვეპუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შუახევის მუნიციპალიტეტში, შპს „ალტერ ენრეჯის“ მდ. მოდულისწყალზე 4,72 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (გოგინაური ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა N18; (07.07.2018წ.)
2. შპს „ალტერ ენერჯიმ“ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #18; (07.07.2018 წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ალტერ ენერჯის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ალტერ ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი